№ 3
ოთხშაბათი, 6 იანვარი 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 3
ოთხშაბათი 6 იანვარი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

შემდეგი ნომერი დღესასწაულისა გამო გამოვა ჰარასკევს, 8 იანვარს.

---

**ნესტორ გიორგის ძე და ნიკოლოზ ივანეს ძე ახვლედიანი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი თავისის ძმისა, ხოლო მეორე ბიძაშვილის

## პლატონ გიორგის ძის ახვლედიანისას.

გარდაცვალებულის გვამს სადგომიდგან (ალექსანდროვის ქუჩა, № 62) 6 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზედ, წაასვენებენ რკინის გზის სადგურზედ, ხოლო შემდეგ რკინის გზით ახალ-სენაკში და იქ გურძემში მიაბარებენ მიწას. (1—2—1)

---

# ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 7 იანვარს,

**ბენეფისი კ. დ. ყიფიანისა**

ქართულის დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან, ბ-ნ **ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

# მ ე ფ ე ლ ი რ ი

ტრაგ. 5 მოქმ. თხზ. შექსპირისა, თარგმ. თავ. ი. მაჩაბლისა და თავ. ი. ჭავჭავაძისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი.**

---

ოთხშაბათს, 6 იანვარს 1899 წელს, ტფილისის „**კრუჟოკის**“ დარბაზში გამართული იქმნება

# ბ ა ლ ი

ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

**ბილეთების ფასი 2 მან. 10 კ.** დასაწყისი საღამოს 10 საათზედ.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის, სამხედრო წოდების კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი, დანარჩენებისათვის ფრაკი.

---

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან. (5—5)

---

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардiана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(—1—წ)

---

### მთავრობის განკარგულებანი

ცნობა სამსახურის წელთა შესრულებისა გამო სტატსკი სოვეტნიკობა —ერევნის გუბერნიის სურმალინის ნაწილის ხარჯთ ამკრებ ინსპექტორს დათეშიძეს; კოლეჟსკი სეკრეტრობა— ქ. ტფილისის მე 2 ნაწილის ხარჯთამკრების ინსპექტორის თანაშემწეს კვალიაშვილს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა—მთავარ მართებლის კანცელარიის გამმიჯვნელ განყოფილების მოხელეს მესხს.

გამწესებულ იქმნენ: ფოსტალიონად ნამყოფი აზნაური დავით ქარუმიძე—გორის სამაზრო საპოლიციო გამგეობის კანცელარიის მოხელედ; იოანე ხანთაძე და ვლადიმერ შავგულიძე—მე-6 ხარისხის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებად, პირველი—აბასთუმანის, ხოლო მეორე—ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში; აზნაური აკქსენტი ალშიბაია—ართვინის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნენ: ფოსტალიონები ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებისა ფოთისა—იაკობ მელიქიძე და უვარძლისა—გერასიმე სირაძე—ერთი მეორის ადგილზედ.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მე-6 ხარისხის მოხელე ალექსანდრე წინამძღვარიშვილი.

---

# ახალი ამბავი

*** დღეს, 6 იანვარს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექ.არხოსი ფლაბიანე მწირველი ბრძანდება ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში. დილის 10 საათზედ ქალაქის სამღვდელოება შეიკრიბება სიონის ტაძარში, საიდგანაც იგი ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში წავა. აქედგან წირვის შემდეგ ეგზარხოსი და სამღვდელოება ლიტანიით გაემართებიან მადათოვის კუნძულზედ იორდანეზედ.

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა შესწირა 100 მანეთი კატორგაში გაგზავნილთა შვილების თავშესაფარის სასარგებლოდ.

*** დღეს, 6 იანვარს, „ტფილისის კრუჟოკში“ კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანის მეცადინეობით ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ გამართული იქმნება ბალი. დასაწყისი ბალისა საღამოს 10 საათზედ.

---

# ფელეტონი

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი“ № XI 1898 წლისა.

ნოემბრის ნომერს საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილისას“ შეცდომით თუ ვუწოდებთ ნახატებიანს, თორემ ამ ნომერში, გარდა ერთის საცოდავი კნუტისა და მცენარის ენკინარისა, როგორც ავტორი უწოდებს ერთს ჩვენებურს მცენარეს, ვერც ერთს შესაფერისს და აუცილებლად საჭირო სურათს ვერ იპოვით. ეს გარემოება აიხსნება რედაქციის სიღარიბისა, თუ სხვა მიზეზებისა გამო, ჩვენ ამის განხილვაში არ შევალთ, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი წერილები მაგ. „კოლო“ უსურათოდ სრულიად რომ არ დაებეჭდათ, ამითი არაფერი დაშავდებოდა. ამ საზოგადო სიტყვების შემდეგ შევუდგებით ყველა მასალის კერძოდ ცალკე განხილვას.

„ჯეჯილის“ მეთერთმეტე ნომერში ჩვეულებრივად ორი ლექსია დასტამბული. ერთს ჰქვიან „კატა“, მეორეს—„ია და ეკალა“. უნდა გამოვტყდეთ, რომ ვერც ერთი ამ ლექსთაგანი ვერ აკმაყოფილებს საბავშვო ლექსის დანიშნულებას. პირიქით, ეს ორივე ლექსი მესამე კლასის მოწაფის ნაცოდვილარს უფრო წარმოადგენს, ვიდრე საჭირო ცოდნით და შესაფერის სწავლით აღჭურვილის საბავშვო მწერლის კალმის ნაწარმოებს. პირველს ლექსში, რომელიც ისე მოსწონებია „ჯეჯილის“ რედაქციას, რომ პირველი ადგილი დაუთმია მისთვის, ვკითხულობთ:

„ნუ თუ ჩიჩია მოგნდომებია
და შენ ფუფალაც გაგწყრომებია(?)
მაცადე(?) ფისო, და(ვ)უგებ (რაგვსა(?)
გათენებამდის დაგიჭერ თაგვსა“ და სხ.

ვთქვათ ეგ „ვაგწყრომებია“, „მაცადე“ მე „დაუგებ“ და სხვა „წარმოშობილია დასავლეთ საქართველოს ერის საშოდგან, რომელსაც ღრამატიკა არ მოეძევა“ („კვალი“, №47 1898 წ.), მაგრამ ვერ გაგვიგია ეგ „ფუფალა გაგწყრომებია“ რას ჰნიშნავს, ან რა აზრი აქვს „კატას ფუფალა გაწყრომებია“-ს!? ან რად გაუწყრომია ფუფალა კატას, განა მისთვის, რომ საჭმელი მონდომებია! ეს სიტყვა „რაგვი“ არც დასავლეთ საქართველოშია ყველგან ხმარებული, აქაც ალბად მისთვის უხმარიათ „რაგვსა“, რომ შეწყობილიყო სიტყვებთან „დაგიჭერ თაგვსა“. ჩავყვეთ ამ ლექსს ქვევით: შენიშნეთ, რომ კატას ჰპირდებიან მე დაგიჭერ „რაგვით“, ანუ ხაფანგით თაგვსაო, შემდეგ:

„მოგცემ კლანჭებში; ჯერ ათამაშე,
შეჭკარი (?) მაღლა, შეათამაშე;
ზოგჯერ გაუშვი და დაემალე,
როს მიდიოდეს კვლავ ეცი მალე,
ასე აწვალე და აწრუწუნე,
შემდეგ დაჯექ და შეაკნატუნე“.

ვიშ ნეტარებავ! სწორედ საუცხოვო სურათია პატარა მკითხველების გონების სავარჯიშოდ. ეს საზიზღარი ჩვეულება კატებისა ნუ თუ მოსაწონია, რომ ათას ნაირ წვალებას მიაყენებენ თავის მსხვერპლს და შემდეგ მთლად მოუღებენ ბოლოს. ან რა სამაგალითოა ეს პატარა მკითხველისათვის! ამას გარდა, ხსენებულის ლექსის ავტორი იმ კატას, რომელსაც თავის თავად თაგვების დაჭერაც-კი არ შესძლებია, შემდეგს დარიგებას აძლევს:

„არ არის(,) ფისო, დასანდობელი,
სხვისა ნაღვაწის არ დამდობელი(?)
დ̃ ვინც თაგვივით ცხოვრობს ქურდულათ(დ)
გაჰკარ კლანჭები, მოექეც მტრულათ(დ)
გააქრე ყველგან მათი ხსენება,
და ყველას მოგვეც მით მოსვენება“.

საკვირველი კატა ყოფილა ამ ახირებულის პოეტის კატა, რომლისაგანაც ავტორი ხსენებულის ლექსისა მთელის მტრისაგან „დახსნას“ და „მოსვენებას“. იქნება ბ-ნ კახ იმერს ჩემი პირუთვნელი და სამართლიანი შენიშვნა არ ეამოს და თავისი ძლევა-მოსილი კატა ჩემკენაც გამოგზავნოს, მაგრამ ჩვენ მაინც დაურიდებლად მოვახსენებთ ავტორს, რომ მისის ლექსისა არც თავი ვარგა და არც ბოლო ბავშვებისათვის საკითხავად და ამას გარდა მტრის სამაგიეროს გადახდაც ცუდად ჰმოქმედებს ბავშვის ნორჩ გონებაზედ—**разсказы о мести слишкомъ способны развивать злыя склонности**“ (იხ. თხზულება ბენისა).

მეორე ლექსიც რაღაც უცნაურია; კითხულობ და არ გჯერა, ნუ თუ ამისთანა რამე არის ღირსი დასტამბვისა და ისიც საყმაწვილო ჟურნალში. ამ მეორე ლექსში საუბარი აქვსთ იასა და ეკალას, თუ ეკალს. ია სტირის, სჩივის თავისს ბედს, რომ „ბუნებამ იმაზედ იცვალა პირი და არ იზრდება ველად“.—

„ზემოდგან ბუჩქი ზრდას მიშლის
და გარს მიბერავს ქარ-სუსხი,
თავ ჩაღუნული ვწუწუნებ,
ვით ასი წლისა მოხუცი (?)
როდის მომივა ზაფხული(?)
ვარ ამის სანატრელშია.“

ზემოთ მოყვანილის იის ჩივილმა მოგვაგონა ჩვენის ნიჭიერის მგოსნის ვაჟა ფშაველას „ია“, შესადარებლად ავიღეთ თხზულებანი ვაჟასი (იხ. გვ. 37), სადაც ამოვიკითხეთ შემდეგი სიტყვები იისა: „ხეებიც მე დამხარიან ზევიდამ, თვითონ თავშიშველნი ტოტებს მე მაფარებენ: ჩვენს იას არ შეგვიცივდესო, ან არაფერმა არ აწყინოსო. პირდაპირ შხაპუნა წვიმას არ უშვებენ ჩემამდის, წვიმას შეუძლიან ერთბაშად ჩამომაცალოს ფოთლები, ხეები გარშემო მეხვევიან და მყარაულობენ, წვიმის ნამს ინახვენ ტოტებით, ფოთლებით და მე-კ ნელ ნელა მამცვრევენ პირზე თითო ოროლა ნამობით, პირს მბანენ“ და სხ. აი, სად არის სინამდვილით დახასიათებული ია. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ „ია და ეკალას“ ავტორს ვაჟა-ფშაველას „ია“ წაკითხულიც არ ექნება, თორემ ისეთს უცნაურსა და ყოვლად უმსგავსოდ არ დაახასიათებდა ამ საბრალო მცენარეს. როგორი შედარებაა ია და ასის წლის მოხუცი! ან „როდის მომიკა ზაფხული, ვარ ამის სანატრელშია“. ყველა სულდგმული-ცხოველი, მცენარე გაზაფხულს შეჰხარის, ალტაცებით მოელის ძვირფასს სტუმარს გაზაფხულს, ავტორის ია-კი გაზაფხული არ მოსწონს ალბად და გაიძახის „როდის მომივა ზაფხულიო“! საზოგადოდ სიცოცხლესა და აზრს მოკლებული ლექსები და მ ლექსები ჩვენ მი ფარნით საძებარი არ არის. პირ-იქით, ეს საზოგადო მოვლენაა.

„ჯეჯილის“ მეთერთმეტე ნომერშივე ვკითხულობთ ერთს ვრცელს მოთხრობას ბავშვების ცხოვრებიდ-

*** გაზ. „Каз“-ი იუწყება, რომ ამ იანვრის თვის ნახევარში კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი პეტერბურგში წავაო.

*** ორშაბათს, 4 იანვარს, სცენის მოყვარეთა მიერ სახალხო წარმოდგენა იქმნა გამართული ავჭალის ქუჩაზედ სახალხო კითხვების სადგომში. ითამაშეს ორი პიესა: „ბიძიას თან გამოხუმრება“ და „დატრიალდა ჯარა“. ორივე პიესამ მშვენივრად ჩაიარა. ხალხი აუარებელი დაესწრო წარმოდგენას. მოთამაშენი ხანგრძლივის ტაშის ცემით იქმნენ დაჯილდოვებულნი.

*** 3 იანვარს დიდუბის ტაძარში გარდახდილ იქმნა წლის თავის პანაშვიდი განსვენებულის პროფესორის ილია ლაზარეს ძის ოქრომჭედლიშვილის სულის მოსახსენებლად. სხვათა შორის პანაშვიდს დაესწრნენ უმაღლესის კარის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი სულთან-კრიმ-გირეი და მრავალნი სხვანი.

*** ტფილისის დედათა წმ. ნინოს სასწავლებლის ექვსის პანსიონერ-ქალის შესანახად კავკასიის მთავარ-მართებელს გარდაეცა 1,500 მ.

*** კანდიდატებად ქ. ტფილისის პირველ ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობაზედ ასახელებენ, „ტფილისის ლისტ“-ის სიტყვით, მესამე ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს თავ. ა. ნ. ქავჭავაძეს და ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგს ნ. ა. ტარსაიძეს.

*** 2 იანვარს პეტერბურგში გარდაიცვალა სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ნიკ. ალექ. დინგელშტეტი. განსვენებული კარგა ხანს მსახურებდა კავკასიაში ოლქის სასამართლოს წევრად, შემდეგ თურქესტანში იქმნა გადაყვანილი გუბერნატორის თანაშემწედ. განსვენებული მწერლობაშიაც იღებდა მონაწილეობას.

*** გორის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ნ. ს. დიაკონოვი, იმავე გაზეთის სიტყვით, გადმოჰყავთ ტფილისის მე-2 ნაწილის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ.

*** რუსეთის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებამ, აცნობა რა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ ამ წლის მაისს პეტერბურგში გამართული იქმნება საერთაშორისო, ხოლო სექტემბერში—სრულიად რუსეთის ბაღოსნობის გამოფენანი, სთხოვა ხსენებულ საზოგადოებას—იზრუნეთ, რათა გამოფენებში მონაწილეობა მიიღონ კავკასიის ბაღოსანთაცაო.

*** ადგილობრივის რუსულის გაზეთების სიტყვით, დუშეთის მაზრის სოფ. იკეთში საქონლის რაღაც სენი გაჩენილა; ამბობენ ჭირიაო.

*** გაზ. „ტფ. ფ.“-ს პეტერბურგიდგან სწერენ, რომ ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტა მეტად საყურადღებო საგანი სოფლის იმ მცხოვრებელთათვის, რომელნიც ამზადებენ შინ და ჰყიდიან სავაჭრო გარდასახადის გაუღებლად სხვა-და-სხვა საქონელს, როგორც, მაგალითად, ლეკურ შალებს, ხალიჩებს, ჯეჯიმებს და სხვას. დღემდის მცხოვრებლებს აღკრძალული ჰქონდათ ასეთი საქონლის გაყიდვა სავაჭრო, საგილდო და სამრეწველო გარდასახადის გაუღებლად. დღეს-კი სამინისტრომ განმარტა, რომ კავკასიაში ყველას შეუძლიან გაჰყიდოს გარდასახადის გაუღებლად შალები, ჯეჯიმები, ხალიჩები და სხვა ასეთი ნაწარმოებიო.

*** „Чер. Вѣст.“-ს სიტყვით, 7 იანვარს, ბათუმის ქალაქის საბჭოს კრებაზედ მოხდა არჩევნები ქალაქის მოურავისა, გამგეობის წევრებისა და მდივნისა.

*** „ახ. მიმ.“-ა იუწყება, რომ ამ წლის პირველ თებერვლიდგან აზრადა აქვთ ამიერ-კავკასიაში სავალდებულოდ გაჰხადონ ჭირიან და საეჭვო საქონლის დახოცვა. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად შინაგან საქმეთა სამინისტროს ნახევარის წლისთვის გადაუდვია 200,000 მანეთი. ამასთან გამრავლებული იქმნება ამიერ-კავკასიაში ბეითალთა რიცხვიც: ამ ახლო მომავალში ტფილისს ჩამოვა რუსეთიდგან გამოგზავნილი 50 ბეითალი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის ჟანდარმთა საპოლიციო გამგეობის უფროსი პოლკოვნიკი ნ. ა. ვირუბოვი დანიშნულ იქმნა ოდესის ჟანდარმთა გამგეობის უფროსად. ხოლო იმის ნაცვლად ტფილისში დროებით უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად დანიშნულ იქმნა პოლკოვნიკი ა. ნ. კარამზინი.

*** 4 იანვარს პოლიციამ შეიპყრო ტფილისის მოქალაქის შვილი კონსტანტინე შახოვი 15 წლისა, რომელსაც ექიმ მაღალაშვილისათვის ინდოურები მოეპარა.

*** 4 იანვარს წყნეთის ქუჩაზედ, ვაჩნაძის სახლში ქალაქის დედათა სკოლის სადგომს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს.

*** ეს რამდენიმე დღეა ტფილისში წარმოდგენებსა ჰმართავს ნიკიტინის ცირკი. წარმოდგენებს ყოველთვის აუარებელი ხალხი ესწრება. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ საუკეთესო არტისტები იღებენ მონაწილეობას და წარმოდგენები ყოველთვის საუცხოვოდ არის მოწყობილი ხოლმე. განსაკუთრებით კარგად ჩაიარა 2 იანვრის წარმოდგენამ. ამ დღეს ცირკის დირექტორმა ა. ა. ნიკიტინმა იდღესასწაულა ოცდა-ხუთის წლის შესრულება იმ დღიდგან, როდესაც მან პირველად რუსეთში რუსული ცირკი დააარსა. დასმა ბ-ნ ნიკიტინს მიართვა ოქროს საათი. საზოგადოებაც დიდის აღტაცებით მიეგება ნიკიტინს.

*** ველიამინოვის ქუჩაზედ მცხოვრებმა მკურნალმა ლებედ-ოლხოვსკიმ გამოუცხადა პოლიციას, რომ ჩემმა მოსამსახურემ სენაკის მაზრის მცხოვრებმა ნიკოლოზ სურმავამ საწოლი ოთახიდგან 75 მანეთი მომპარა და სადღაც დაიმალაო.

*** „ახ. მიმ.“-ს დუშეთის მაზრის სოფ. მლეტეხიდგან სწერენ, რომ ამ ბოლოს დროს აქეთ ძალიან გახშირდა ჩხუბი და უწესოება. ამ დღეებში, მაგალითად, ერთმა ლეკმა, რომელიც საუფლისწულო მამულში მსახურობს, თოფით დასჭრა მეეტლე. შემდეგ პირველ იანვარს ერთ დუქანში დასჭრეს ხანჯლით ორი ადგილობრივი მცხოვრებელი. 27 დეკემბერს ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ გაჰქურდეს ქსნის სადგურიდგან მუხრანში მომავალი მეეტლე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

20 დეკემბერს პეტერბურგში გამართულ იქმნა ჩვეულებრივი ქართული საღამო. აი, ამ საღამოს შესახებ რასა სწერს გაზ. „Новости“:

კავკასია ხელ-ახლად წინ წარმომიდგა და არა მარტო მე, არამედ კარგა დიდ საზოგადოებას, რომელიც თავად-აზნაურთა საკრებულოს დარბაზებში შეიკრიბა ქართულ საღამოზედ დასასწრებლად. აქ, ამ დარბაზებში ეს არის ეხლა მისწყდა უცხო-ქვეყნელ დელეგატთა სიტყვები, წარმოთქმული სამხედრო-სამკურნალო აკადემიის ასის წლის იუბილეის გამო. ჰაერში ჯერ კიდევ გაისმოდა ხმა უკანასკნელის ვალსისა, რომლითაც დასრულდა საიუბილეო დღესასწაულები. მაგრამ ეს ხმა დავიწყებას მისცა ორიგინალურმა საერო მუსიკამ, რომელსაც პეტერბურგელები ყოველ წელიწადს ისმენენ კავკასიელ ახალგაზდა მოსწავლეთა მიერ გამართულს საღამოზედ.

არის რაღაც გულის დამწყვეტი ქართულს კილოებში და თვით იმ საკრავებშიაც-კი, რომლებსაც ამ კილოების შესრულების დროს ჰხმარობენ,—რაღაც დარდი პოეტურ საქართველოს ბედნიერ წარსულისა და ყოფილის სნივის გამო. დარჩნენ მხოლოდ გადმოცემანი, მაგრამ ეს გადმოცემანი სცოცხლობენ კეთილშობილ, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებულ ერში. რამდენი პოეტური დედა-აზრი დაუტოვეს თავისს ხალხს ქართველ მწერალთ თავ. წერეთელმა, ერისთავმა და სხვათა. ეს აზრები დღემდის აღელვებენ ქართველ ახალგაზდათა გულს, სულ ერთია რის შესახებაც უნდა იყოს ლაპარაკი—ლამაზ შავ-თვალება ქალისა თუ წარსულის ბრძოლებისა და თავ-დადების შესახებ, იმ ბრძოლებისა, რომელთაც გააფოლადეს საქართველოს გმირთა გული. ქართველი კომპოზიტორები იღებენ თავიანთ ნაწარმოებისათვის შინაარსს ამ წარსულიდგან, აახლებენ, აცოცხლებენ საერო ჰანგებს; მათ კვალ-და-კვალ მისდევენ რუს-კომპოზიტორები. ამ შემთხვევაში მეტად საინტერესოა ნაწარმოებნი ახალგაზდა კომპოზიტორის ბ-ნ ბალანჩივაძისა და მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორის ბ-ნ კორეშჩენკოსი. ზოგიერთ მათის ნაწარმოების გაცნობა საზოგადოებას შეეძლო გუშინ კონცერტის დროს. შესრულებულ იქმნა ქართველთა ძველი სუფრული სიმღერები, სვანური საგალობელი, საქორწილო და საცეკვაო სიმღერები, აგრეთვე ადგილები ბალანჩივაძის ოპერის „თამარ ცბიერიდგან“. ყველა ეს მუსიკის მოყვარულისათვის მეტად საინტერესო იყო, ხოლო ქართველს დასვანს იგი ბევრს რამეს აგონებდა თავისს ახალგაზდობისას, როდესაც ტკბილად დაჰმღეროდა იმისს აკვანს „ნანას“ საყვარელი დედა ან ძიძა.

სიმღერა-გალობის შემდეგ ცეკვა გაიმართა. თამაშობდნენ ახალგაზდები, იმათ გაიტაცეს მოხუცებიც… როგორის გრძნობით დასრიალებდნენ ლეკურის თამაშში ქართველი ქალნი და ვაჟნი, თითქოს მიწაზედ ფეხს არ აკარებენო! როგორ ზომიერად ტრიალებდნენ და ერთბაშად გაექანებოდნენ ხოლმე წინ ტაშის ხმაზედ! ბევრნი ძლივს-ძლიობით იჭერდნენ თავს და კინაღამ არ გავიდნენ სათამაშოდ. ჩვენ შევნიშნეთ ერთი ხანში შესული ქართველი, მაგრამ მოხუცის ფეხები არ გამოდგებოდა ლეკურისთვის, და ისიც მხოლოდ აქეზებდა სათამაშოდ უფრო ახალგაზდებს, გული მისი-კი იმ დროს ძალზედ ჰძგერდა და ღელავდა ნაცრის ფერს ჩოხაში.

მშვენივრად ითამაშეს ლეკური რამდენმამე ქართველმა ქალმა და მათ შორის ქ-ნმა არლანიმ, რომელსაც—ქართული კაბა ეცვა „saumon“-ის ფერი, ცისფრის სარტყელით. ლეკურივე ითამაშა ქ-მა პეტიპამ, რომელსაც ახალგაზდობა უწინდებურად ყოველთვის აღტაცებით ეგებება ხოლმე საქველმოქმედო საღამოებზედ. გუშინ ქ-ნი პეტიპა და ქ-ნი ბალეტა შამპანიურს ღვინოსა ყიდნენ ფარდულებში. ორივეს ლამაზს ქალს მრავალი ხალხი ეხვეოდა და ორივემ ხელი შეუწყეს საღამოს კარგს შემოსავალს. შემდეგ ორთავე არტისტმა ქალმა მონაწი-

---

განს, რომელსაც სათაურად უზის „ნალიტა და ფეთება“. ეს ნალიტა და ფეთება მეტი სახელია ორის მოწაფისა; ისინი სწავლობენ ქალაქის ერთს სასწავლებელში. ნალიტა ჭკვიანი ყმაწვილია, სუსტის აგებულებისა, ამხანაგების თამაშობაში მონაწილეობას არ იღებს, ფეთება-კი, გათავდება გაკვეთილები თუ არა, ერთს ყოფაშია, ხან ერთს ჯგუფს ყმაწვილებისას დაერევა, ხან მეორეს დაუქროლებს, აქეთ-იქით თვალებს აფეთებს და ამიტომ ამხანაგებს მეტ სახელად ფეთებამ დაურქმევიათ. ნალიტა და ფეთებამ კლასში ერთად სხედან. ფეთება ხშირად გაკვეთილები არ იცის, მაგრამ ჰკითხავს თუ არა მასწავლებელი გაკვეთილებს, ფეთება ან მუჯლუგუნით და ან წიხლის საშუალებით შეატყობინებს ნალიტას თავის გაჭირებას და ისიც წაუჩურჩულებს გაკვეთილს და ასე გადარჩება ხოლმე. საზაფხულოდ ყმაწვილებს დაითხოვენ და ყველანი სოფლებში წავლენ მშობლებთან. ნალიტა, როგორც ღარიბის კაცის შვილი, ზაფხულში ხშირად შველის მუშაობაში მშობლებს და აუტანელის ჯაფისაგან ხშირად დიდს გაჭირებაშია. შემოდგომა დადგება, მოწაფეები ისევ იკრიბებიან სასწავლებელში, ნალიტაც ჩამოდის სოფლიდგან, მაგრამ ისეთი ავათმყოფია, რომ მაშინვე საავადმყოფოში დააწვენენ. ფეთება ელაპარაკება თავისს ამხანაგებს, თუ როგორ გაატარა ზაფხული, როგორ ინადირა და რა მოჰკლა. ამ დროს აღმზრდელი ფეთებას დაუძახებს, შეიყვანს საავადმყოფოში ნალიტასთან, რომლის გამხდარი სახე ისე იმოქმედებს ფეთებაზედ, რომ ეს უკანასკნელი თვალცრემლიანი გამოდის საავადმყოფოდგან. ამ მოთხრობით ავტორს აზრად ჰქონდა აღეძრა მკითხველებში სიბრალულის გრძნობა ღარიბის, ღატაკის ბავშვების მიმართ, მაგრამ მოთხრობა ისეთი გაჭიანურებულია და მასთან მოკლებულიც იმ თვისებას, რომელსაც შეუძლიან გამოიწვიოს მკითხველებში სასურველი გრძნობები, რომ საეჭვოა ავტორმა საგანს მიაღწიოს. საზოგადოდ მოთხრობა „ნალიტა და ფეთება“ სუსტია და ვერც იმოქმედებს მკითხველებზედ სასურველად. სხვათა შორის ხსენებულის მოთხრობის ავტორს ჩვენებური სოფლის ხალხის ცხოვრების დაკვირვებაც არა ჰქონია. მოთხრობაში ვკითხულობთ შემდეგს: „კვერი თოკებით აბათ ცხენისათვის (?) თოკებზე მონძები ეხვია, ცხენს ბარკლები არ დაეკოდნა. ხაიობინძიდ ხამუთ (?) ქვეშ მწვარი დაეფინათ“. საქართველოში საზოგადოდ, როგორც ხვნათესვა, აგრეთვე პურის ლეწვაც ხარ-კამეჩებით იციან და არა ცხენებით, როგორც, მაგალითებრ, რუსეთში. მამა ეუბნება ნალიტას: „წადი შუა შემოიტა, საჭმელს მიუმარჯვე, სამოვარი დადგი“. ჩვენებური გლეხი და სამოვარი!.

„ნალიტასა და ფეთებას“ შემდეგ დასტამბულია ერთი პატარა მოთხრობა „პეტრე“, რომელიც წარმოადგენს ფოტოგრაფიულს სურათს სოფლის სკოლის ცხოვრებიდგან. მოთხრობა კარგია, აზრის და გვარად შესაფერად და კარგად ჰმოქმედებს მკითხველზედ, ავტორს ხსენებულის მოთხრობისას ეტყობა ნიჭი, სრული დაკვირვება და ცოდნა სოფლელ ბავშვის ცხოვრებისა, ამიტომ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამისთანა ორიგინალურის მოთხრობების წერით, რომელიც ამოღებულია ჩვენებურ ბავშვების ცხოვრებიდგან, ავტორს „პეტრე“-სას შეუძლიან კარგი მოქეთეობა გაუწიოს ჩვენს ბავშვებს.

ვრცელი მოთხრობა „პატარა ურია“ საზოგადოდ კარგია, არა მარტო ბავშვების, არამედ სახალხო საკითხავადაც. საბავშვო მწერლის, როგორც კარგის მქადაგებლის, საუკეთესო თვისებას შეადგენს თავისი ნალაპარაკევი შეუფარდოს მსმენელთა ცნებას და შეარყიოს შინაგანი გრძნობანი და წაახალისოს შრომაში. ერთს ადგილას დანიელის შესახებ ავტორი ასე მოგვითხრობს: „თუმცა სკოლაში სწავლა ბაბილონელთა ენაზედ იყო, მაგრამ დანიელი და მისი მეგობრები თავისს საუკეთესო დედა ენას ბეჯითად სწავლობდნენ და სამშობლოს არ ივიწყებდნენო“. ქართულის გრამატიკის ღალატს აქაც შეხვდებით, მაგრამ ეს გარემოება „ჯეჯილის“ რედაქციისათვის „არ ახალია, ძველია“—მაგალითად, ვკითხულობთ: „ყმაწვილებთა (?) შორის ერთი საკვირველი ყმაწვილი აღმოჩნდა“. ამ სიტყვას „ყმაწვილებთა“ ორნაირი დაბოლოვება აქვს მრავლობითს რიცხვში—საერო და სამწიგნობრო, უნდა იყოს ან ყმაწვილებს შორის, ან ყმაწვილთა შორის. „შეკრიბეს მრავალი ბრძენნი“. უნდა იყოს მრავალნი ბრძენნი.

ამის შემდეგ ვკითხულობთ წერილს: „კატის ჭკუა-გონება“. ამ წერილის ავტორს, როგორც სჩანს ბევრი სხვა-და-სხვა წყაროებიდგან უსარგებლნია მასალით, მაგრამ შეკრებილ მასალების დალაგება ვერ მოუხერხებია და შეკრებილი მასალები უკავშიროთ დომხალივით აურევია ერთმანეთში. იმისთანა წერილები, რომლის ნაწილები ლოგიკურის ჯაჭვით არ არის დაკავშირებული, გარდა იმისა, რომ ძნელი და მძიმე საკითხავია, თვით მკითხველის მეხსიერებაშიაც ვერ რჩება დიდ ხანს. ამასთან „კატის ჭკუა-გონებაში“ ზოგიერთი ადგილები გაზვიადებულად და სიმართლეს მოკლებულად მიგვაჩნია: „კატა საშინელი გულ-მტკივნეულია, განსაკუთრებით როცა კნუტები ჰყავს; ის მზათ არი თავის (თუ თავისი) ძუძუ პატარა ლეკვებს, კურდღლებს, ვირთხებს და თაგვებსაც-კი აწოვოს“. დავიჯეროთ ვითომ, ვირთხა ანუ თაგვი კატას ძუძუს სწოვდა. შენიშნულია მეცნიერების მიერ, რომ კატას, რომლისთვისაც კნუტები წაურთმევიათ, თავისი ძუძუ ციყვისა და კურდღლისათვის უწოვებია, მაგრამ ამ გარემოებას იგივე მეცნიერები ჰხსნიან არა კატის გულ-შემატკივრობით, არამედ იმით, რომ კატას უნდა მოიშოროს ძუძუებში შეგროვილი რძე, რომელიც ძალიან აწუხებს. საზოგადოდ შენიშნულია, რომ ყველა კატა განსაკუთრებულს თავისებურს ხასიათს იჩენს. რაც თქვენის კატის შესახებ შეიძლება სთქვათ, იგივე არ შეიძლება ითქვას მეზობლის კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა მიიღეს ევროპიულს ცეკვაში, რომელსაც მოჰყვა კონცერტს. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს—ქ-მა გუშჩინისამ, ბ-ნთ ნანაბიშვილმა, დუბროვმა, დმიტრიევსკიმ და ორეშკევიჩმა.

# რუსეთი

აზრადა აქვთ ამ წელს დონის როსტოვში დააარსონ სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო-სამრეწველო ბანკი. ამ ბანკს აზრად ექმნება ცხვრის მომშენებელთ იაფი კრედიტის შეძენის შეძლება მისცეს.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გაფართოვებულ იქმნას რკინის გზებზედ არსებულ საპენსიო კასსების მოქმედება. აზრადა აქვთ ამ კასსებში მონაწილეობის მიღების ნება მისცენ შტატს გარეშე მოსამსახურეებსაც.

— ამას წინად გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, რომ მთავრობას აზრადა აქვს ოლქის სასამართლოს წევრებს ჯამაგირი მოუმატოს. ეხლა სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ ეს საგანი სახელმწიფო საბჭოს გარდაეცა განსახილველადო.

— რადგანაც ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა ეკლესიების გაქურდვა, „Рус. л.“-ს სიტყვით, სასულიერო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ გაამრავლონ ეკლესიის დარაჯთა რიცხვი.

— აზრადა აქვთ ვარშავის სამოსწავლო ოლქში სახალხო სკოლების ინსპექტორის 12 ახალი თანამდებობა დააწესონ, თითოს წელიწადში 2000 მანეთი ექმნება ჯამაგირი. ამ ახალის თანამდებობის დაწესება გამოიწვია სასწავლებელთა რიცხვის გამრავლებამ. 1865 წელს ქალაქ ვარშავაში იყო 200 ათასი მცხოვრებელი და 160 სხვა-და-სხ. სასწავლებელი; ეხლა-კი 600 ათასი მცხოვრებელია და 700 მეტი სასწავლებელი. 1865 წ. მთლად პოლონეთში 1060 სასწავლებელი იყო, ეხლა 7 ათასზედ მეტია თურმე.

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ აზრადა აქვთ გადააკეთონ გზათა სამინისტრო. პროექტი ამის შესახებ უკვე შემუშავებულია. საბოლოოდ ამ პროექტს სახელმწიფო საბჭო განიხილავს 9—16 იანვარს.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საკასაციო პალატის უმცროსმა თავმჯდომარემ კენე დე-ბოორეპერმა იუსტიციის მინისტრს ბ-ნ ლებრეს ამ დღეებში შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

«პატივი მაქვს მოგართვათ თხოვნა საკასაციო სასამართლოს პრეზიდენტობიდგან ჩემის გადადგომის შესახებ».

ამასთანავე გაზეთ «Eho de Paris»-ში იმავე ბოორეპერმა წერილი დაჰბეჭდა, რომელშიაც ამბობს, რომ მე, როგორც ჯარის-კაცად ნამყოფი და შოვინისტი, ძლიერ ვიტანჯებოდი იმის გამო, რომ საკასაციო პალატის სისხლის სამართლის განყოფილებამ დაივიწყა მხედრობა ქვეყნის მოღალატეების გულისათვის. მე ვთხოულობდი გამოძიება მოეხდინათ, მაგრამ ნამდვილი გამოძიება არ მოხდა. პრეზიდენტი ლევი და საქმის მომხსენებელი ბარდი მაბრალებდნენ, ვითომც ჩემი ამხანაგები დამებეზღებოდეს. მაშინ მე ხელმეორედ ვსთხოვე მინისტრს გამოძიება დაენიშნა, მაგრამ მან პასუხიც არ გამცა, მაშინ როდესაც ოფიციალურად გამოცხადებულ იქმნა, რომ ბარდს არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვისო. დრეიფუსის საქმეშიაც ისე იქცევიანო, განაგრძობს ბოორეპერი, როგორც პანამისაშიო; ეხლა არ დავმალავ და დაწვრილებით გამოვამჟღავნებ პანამის ისტორიასო. დასასრულ ბოორეპერი ჰპირდება ქვეყანას, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებ და საკასაციო პალატის განჩინების უკანონობას დავამტკიცებო. მე სამაგიეროს გარდავუხდი იმათ, ვინც ჩვენს მხედრობას და მხედართ მთავართ შეურაცხყოფას აყენებს; მე ერთს წუთსაც არ დავივიწყებ, როგორც 2870 წელს არ დავივიწყე, რომ საფრანგეთი განსაცდელშია.

როგორც ვხედავთ, ინტრიგამ საფრანგეთის უმაღლეს სამოსამართლო დაწესებულებაშიაც იჩინა თავი, იმ დაწესებულებაში, რომელიც წმინდათა წმინდათ მიაჩნდათ როგორც საფრანგეთში, ისე საზღვარ გარეთაც. რა იყო მიზეზი ბოორეპერისაგან მოთმინების დაკარგვისა, კარგად არავინ იცის. ზოგიერთი გაზეთის სიტყვით, იმას სდომებია დრეიფუსის საქმის განხილვა ჩამოერთმიათ საკასაციო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას და საკასაციო სასამართლოს მთელს კრებულს განეხილა. იუსტიციის მინისტრს ამის უარი უთქვამს და ბოორეპერი ამას ძლიერ გაუჯავრებია. ანტი-დრეიფუსისტებს ძლიერ ახარებს ის გარემოება, რომ მათს დასს ისეთი ძლიერი კაცი მოემატა, როგორიც კენე დე ბოორეპერია, ხოლო რადიკალური გაზეთები სასტიკად ჰკიცხავენ მას, როგორც ახალ შფოთისა და არეულობის მიზეზს.

—

**ავსტრია.** ავსტრიის რეისხსტრატს გუშინ, 5 იანვარს, უნდა განეახლებინა თავისი კრებები, და ოპოზიციის დასის რამდენიმე გერმანელი დეპუტატი მინისტრებთან სასაუბროდ ემზადებოდა. ოპოზიციის დეპუტატებს სხვათა შორის აზრად აქვთ მინისტრები პასუხის გებაში იქმნენ მიცემულნი ჩეხურის და პოლონურის ენების ხმარებისთვის სილეზიის სახელმწიფო დაწესებულებებში, ვაჭრობის მინისტრის განკარგულების გამო ჩეხურ ენისათვის ოფიციალურ უფლების მინიჭების შესახებ ბოჰემიის სათემო უწყებაში, დროებითი შეთანხმების გამოცხადების გამო კონსტიტუციის მე-14 მუხლის ძალით და ტროპაუს ჩეხურ გიმნაზიაში მასწავლებლების განწესებისათვის რეისხსტრატის ნება დაურთველად.

—

**გერმანია და დანია.** დანიის ცნობილი კრიტიკოსი, გეორგ ბრანდესი, ბერლინში იყო მიწვეული იქაურ მწერლების მიერ ლექციის წასაკითხავად, მაგრამ იმას ეხლა ამისი უარი განუცხადებია. მიზეზად ბრანდესს დანიელების შევიწროება მოჰყავს შლეზვიგში პრუსიის მთავრობის მხრივ და აცხადებს, რომ ჩემის თანამემამულეების ასე სასტიკად დევნის შემდეგ მე, როგორც დანიის მწერალი, შეუძლოდ ვერ ვპოვებ ბერლინში ლექცია წავიკითხოვო. იმ წერილში, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „Berliner Tageblatt“-ში, ბრანდესი ამბობს:

ჩვენს დროში ყოვლად შეუძლებელია მაღლდატანებით მთელს ხალხს ეროვნება გამოუცვალოს ვინმემ. შლეზვიგის დანიელები, რაღა თქმა უნდა, თავისს ენას არასოდეს უარს არ ჰყოფენ, თუმცა-კი მათს შვილებს ძალას ატანენ, სკოლებში უცხო ენის საშუალებით ისწავლონ საგნები. დანიის დანიელებსაც არასოდეს იმის უარს ვერავინ ვერ ათქმევინებს, კავშირი არ იქონიონ თავიანთ ერთსა და იმავე ენაზედ მოლაპარაკე თანამოძმეებთან. ისინი ზიზღის ღირსნი იქმნებოდნენ, სხვანაირად რომ მოიქცნენო.

—

**სერბია.** როგორც გაზეთები იუწყებიან, სერბიის საფინანსო საქმეები ერთობ ცუდს მდგომარეობაში ყოფილა. წარსულს წელში 11 მილიონი ფრანკი დეფიციტი მოსულა ამ პატარა სახელმწიფოს, და ეს მით უფრო საგრძნობელია, რომ რაც შემოსავალი იყო ნაანგარიშევი წლის დამდეგს, თითქმის ყველა შესულა წლის განმავლობაში. ფინანსთა მინისტრი ვუკაშინ პეტროვიჩი ბევრს სცდილა ავსტრიაში ფულები ეშოვნა სასესხებლად, მაგრამ სულ ამაოდ. ასე რომ ეხლა სერბიას ფულები სჭირდება, მაგრამ არც თავისი აქვს და ვერც სასესხებლად შოულობს სადმე. სახელმწიფო რომ გაკოტრებას გადაარჩინოს, მინისტრს განუზრახავს ხუთ ფრანკიანი ქაღალდის ფულის გამოცემა, სულ 25 მილიონ ფრანკისა. როგორც ჰფიქრობენ, ასეთის საქციელით შეიძლება დღეს დღეისუულობით-კი გადარჩეს გაკოტრებას სერბია, მაგრამ გაკოტრებისაკენ პირველი ნაბიჯის გადადგმა იქმნება ეს.

ამ უბედურებას სერბიისას მეფედ ნამყოფს მილანს აბრალებენ, რომელმაც უკანასკნელ ხანებში ისევ დიდი გავლენა მოიპოვა სერბიაში. მილანი ამ ჟამად უნგრეთში არის სტუმრად, გრაფ ზიჩისთან და სერბიის გაჭირვებული მდგომარეობა მას დიდად არ აღონებს. თუმცა მილანი სანადიროდ წავიდა უნგრეთში, მაგრამ, როგორც ჰფიქრობენ, უფრო ის ჰქონია აზრად, რომ დაწვრილებით გაიგოს, თუ რას ჰფიქრობს ავსტრო-უნგრეთის მთავრობა იმის შესახებ, რომ მან ისევ დიდი გავლენა მოიპოვა სერბიაში 1898 წელს.

## როგორ უნდა მოვიხმაროთ ბანკებიდგან გამოსასვლელი ფული.

კიდევ ერთი წელიწადი და მივაღწევთ საზღვარს, რომელიც ჰყოფს მე-XIX და მე-XX საუკ. ერთმანეთისაგან. მე-XX საუკუნის მიწურულ ხანების ქართველობა, რომლის თვით ბუნებრივის არსებობის საფუძველნი და სახსარნი ჩვენ ხელთ გვიპყრია, ხშირად შეეხება ჩვენს აწინდელს ცხოვრებას და თავისს მსჯავრს დასდებს მთელს ჩვენ ნამოქმედარს: გვაქებს, თუ გვაქვს რამე საქებარი, და გვაძაგებს, თუ ვუღალატეთ უმთავრესს საგანსა და აზრს ჩვენის ისტორიულ მოვალეობისას. თუ თითოეულს გვაროვნობაში შვილები და შვილი-შვილები ქებითა და დიდებით, ან კიდევ ძაგლით ამკობენ მამა-პაპათა სავანეს, ან პირიქით, ზიზღით იხსენიებენ, ეგევე ხდება გვაროვნობათა საერთო ცხოვრებაში, რომელსაც „ტომის ცხოვრებას“ ეძახიან. განსხვავება აქ მხოლოდ ის არის, რომ: გვაროვნობის ცხოვრებაში მეთაური სისხლია, ტომისაში—ნიჭი.

დრო-ჟამის ვითარებამ წინ ერთი შესანიშნავი საგანი დაგვიყენა. უნ-

---

ტის შესახებ. ზოგი კატა სულელია, ზოგი ჭკვიანი, ცბიერი და სხვა. „კატის ჭკუა-გონებაში“ ანუსხულს ცნობებს, თუ მკითხველი ყველა კატას მიაწერს, შემცდარი იქნება. „კატის ჭკუა-გონება“ არც გრამმატიკის მხრით არის უნაკლულო. ყველაზე უფრო დიდს განსაცდელშია ნაცვალსახელი „თავისი“. იმისდა მიუხედავად, რომ ამ ნაცვალ სახელის კანონიერად ხმარება და სხვა კანონებიც ქართულის ენისა საკმაოდ გამოკვლეული და დამტკიცებული იქმნა ჩვენს მწერლობაში, „კვალისა“ და „ჯეჯილის“ რედაქცია მაინც თავისებურობას მისდევს მართლ წერაში, რომლის გრამატიკა და კანონები „კვალის“ სიტყვით შემდეგში უნდა შემუშავდეს და დაიწეროსო, (იხ. „კვალი“ № 47); მაგრამ ეს მოსაზრება სრულიად საბუთს არ გვაძლევს ეხლანდელი გრამატიკა უარვჰყოთ და ყველამ ისე ვსწეროთ, ვისაც როგორ გვსურს. სწორეთ ასე იქცევა „ჯეჯილის“ თანამშრომელთა უმრავლესობა. თუ რა შედეგი მოჰყვება ასეთს არეულს მწერლობას, ყველასთვის ცხადია და ამის დამტკიცებას არც ჩვენ შევუდგებით. მხოლოდ აქ საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ: ყველა საბავშო საკითხავი წიგნი, სახელმძღვანელო და საყმაწვილო საკითხავი ჟურნალები უსათუოდ უნდა იწერებოდეს ბავშვისათვის შეძლებისა დაგვარად ადვილად გასაგების, მაგრამ აუცილებლად საზოგადო ლიტერატურულის ენით და არა მხოლოდ ადგილობრივის კილოს მიხედვით, იმ კილოთი, რომელიც მიღებულია მხოლოდ სამშობლოს მკვიდრთა რომელსამე ნაწილში. ამიცანა ანუ დანიშნულება თვით პირველ-დასაწყისის სახალხო სკოლებისა იმაში მდგომარეობს, რომ გააცნოს მოწაფეებს საზოგადო სამწიგნობრო ლიტერატურული ენა, რომლის შემწეობით მოწაფისთვის ადვილი მისაწვდენი შეიქმნება ის სულიერი საუნჯე, რომელიც დაცულია წინაპართაგან აღწერილს წიგნებში და ადვილად შესაგნებელი, რომ საზოგადო ლიტერატურული ენა, რომელიც წინ გაგვიშლის დიდებულს სამშობლო ქვეყანას, ეკუთვნის მთელს ეროვნებას, რომელსაც საზოგადო ლიტერატურული ენა აერთებს და კერძო ადგილობრივი კილო-კი აცალკევებს. ამ საკითხის შესახებ მოვიყვანთ აზრს ერთის ცნობილის ნემეცების პედაგოგისას: „Литературный языкъ обладаетъ предъ мѣстнымп нарѣчіями однимъ несомнѣннымъ преимуществомъ—правомъ побѣдителя; они должны уступить властителю, и хотя цѣлыя столѣтія пройдутъ, быть можетъ, прежде чѣмъ они совсѣмъ изчезнутъ, тѣмъ не менѣе не сомнѣнно, что они медленно близятся къ гибели. И это право—высокое, нравственное право, такъ какъ завоевано на пользу духовнаго просвѣщенія и силою просвѣщенія“.—

ჩვენ ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ ნაცვალ სახელი „თავისი“ უკანონოდ არის ხმარებული „კატის ჭკუა-გონება“-ში. მოვიყვანთ ამის დასამტკიცებელს მაგალითს: „კატა მზათ (დ) არის თავის (ი) ძუძუ ლეკვებს აწოვოს“. „ერთ კაცს თავის (ი) საყვარელი გულწითელა დაეკარგა, დაიჭირა და სიხარულით მიუყვანა თავის (ს) პატრონს (მიცემ. ბრუნვა) როგორც თავის (ი) საკუთრება)“.—

წერილი „კოლო“ ვერ იმოქმედებს მკითხველებზე სასურველად. ამ წერილიდგან ძალიან ძნელია ბავშვმა გაიგოს რამე შეგნებულად კოლოს შესახებ. ჩვენ აგრეთვე მივაქცევთ ყურადღებას კილოს წერისას, როცა კოლო კვერცხებიდგან დაწყებული, ვიდრე ნასახ კოლოდ გახდებოდეს, დაიწყებს ლაპარაკს თავისს თავგარდასავალის შესახებ. ასეთი კილო წერისა საპედაგოგიო მწერლობაში ხშირად შემოღებულია, ხშირად უსულო საგნებიც კი გაბმენ ხოლმე საუბარს; ეს ყველა ხდება იმის გამო, რომ სასწავლო საგანს ცოტათ თუ ბევრად სიცოცხლე მიეცეს, სასწავლო საგანს, რომელიც თვალსაჩინოდ უნდა იქმნას შესწავლული. ეს ყველა კარგი, მაგრამ როცა საბავშვო მწერალი დააწყებინებს კვერცხში ნასახს კოლოს ლაპარაკს, ეს არის ხელოვნური მოტყუება მკითხველისა, მტკნარი სიცრუე, რომელსაც არავითარის სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან მკითხველისათვის. კოლოს უსურათობა დიდს ნაკლულევანებას აძლევს. ამისთანა წერილები უსათუოდ დასურათებული უნდა იყოს. ამგვარსავე წერილს „Комаръ“-ს ტაშენბერგისას ათი სურათი აქვს ჩატანებული, რომლის შემწეობით მკითხველები თვალ-საჩინოდ გაიცნობენ კოლოს თავგადასავალს, გაჩენისა და ზრდის ამბებს. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ წერილი „კოლო“ უდროვო დროს არის დასტამბული, იმ დროს, როცა კოლოს ხსენებაც არ არის, არა თუ თვით კოლო, რომ დაკვირვებოდა ბავშვი იმის კითხვის დროს.

საბოტანიკო წერილში ავტორი მოუთხრობს მკითხველებს ენკინარის ამბავს (Dispacis). ღირსება წერილისა ის არის, რომ ხსენებული მცენარე ჩვენს ქვეყანაშიაც მოიპოვება, მაშასადამე, წერილის ავტორს საგნად აუღია გააცნოს მკითხველებს ჩვენებური მცენარე. ნაკლულევანება-კი თვით მცენარის ახსნა განმარტებაშია. ამ წერილში შეხვდებით ასეთს ადგილებს: „ენკინარს ისეთი ხერხი უხმარია, რომ ვერც ერთი მავნე (?) მწერი ვერ მიაღწევს მის ყვავილს, ვერას აკენკავს (?) მისგან“. „მწერი ვერ აკენკავსო“ ნეტავი საიდ ამბობენ ასე! ჩავყვეთ ქვევით: „ფოთლები ენკინარს უსხედს (?) ერთი მეორის პირდაპირ, ყუნწები ამ ფოთლებისა მოკლეებია (?), განივრები, ერთმანეთთან შეხორცებული(.) და ისე სხედს (?) ეს წყვილ წყვილი ფოთოლი, რომ ენკინარს ყველა მუხლთან პატარ პატარა ფიალისებრ ორმოები აქვს დაკეთებული“. ეს „ყუნწები მოკლეები და განივრები“ ხომ ახალმოდური გრამატიკული ფორმაა, პირდაპირ რუსულიდგან გადმოღებული.

დანარჩენ მასალას, რომელიც დასტამბულია „ჯეჯილის“ მეთერთმეტე ნომერში, არა უშავს-რა; საზოგადოდ კი ეს ნომერი „ჯეჯილისა“ სუსტია და ზოგიერთი მასალა სრულიადაც რომ არ დასტამბულიყო, «ჯეჯილის» მკითხველებს არა დააკლდებოდათ-რა, რადგანაც ზოგიერთ მასალიდგან ვერც-კი შეიძენენ რასმე საჭირო და საგულისხმიეროს.

ლ. ბოცვაძე

და მივტოვოთ დროებით მაინც ჩვენი ჩვეულებრივი: „ყველაფრის არაფრად ჩაგდება“, უნდა შევიკრიბოთ სულიერ ხორციელი ძალ-ღონე და ისე შევუდგეთ ამ საგნის გამორკვევას, რადგან იმისაგან ჰკიდია მთელის საზოგადოდ წოდებულის „მამულის“ და შთამომავლობის ბედის-წერა.

ეს საგანი ჩვენის აწმყო ცხოვრებისა შემდეგია: რა ვუყოთ იმ ნახევარ მილიონ ფულს, რომელიც, დღეს თუ ხვალ უეჭველად უნდა ჩავვბარდეს? მოკლეთ ვურჩევ ბანკის დამფუძნებლებს, ფული მამულის დაცვას, მამულის მტრის მოგერებას მოახმარონ. უნდა შევეწყოთ აწმყო ცხოვრების წესწყობილებას: ჩვენი მამა-პაპანი მამულის მტერს ხმალ-ხანჯლით იგერიებდნენ, ჩვენ-კი ისეთი დრო დაგვიდგა, რომ მამულის მტერი უნდა მოვიგეროთ ფულით, შრომისა და ჯაფის ოფლით. ნუ თუ იქ, სადაც ჩვენი მამა პაპანი სისხლს ანთხევდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ მამული ჩვენთვის გადმოეცათ, ჩვენ ფული, შრომა და ოფლი უნდა დავიშუროთ მამულის დასაცველად, მით უმეტეს მაშინ, როცა სარგებლობა კიდევ ჩვენს ხელში იქმნება.

ეხლა საქმე ის არის: როგორ და რა ნაირად უნდა მოხმარდეს კერძოდ ბანკიდგან გამოტანილი ფული მამულს? თუ აქამომდეც აღიძრა ამის სურვილი, მით უმეტეს ეხლა დადგა იმის დრო, რომ დაარსდეს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად აზნაურთათვის „საადგილ-მამულო ურთიერთ-შორის ნდობის საზოგადოება“, ანუ ჩვენებურის სიტყვებით რომ ვთქვათ: „სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ხელ-შემწყობი საზოგადოება“. 1785 წ. „ბოძებულის სიგელით“: „როგორც საზოგადოება, თავად-აზნაურობა თითოეულის გუბერნიისა არის სამოქალაქო, იურიდიულის უფლების მქონე წოდება“, ე. ი. უფლება აქვს ჰქონდეს საერთო მამული.

მოკლედ ჩვენ მიერ აღნიშნულის საზოგადოების („Общество взаимнаго поземельнаго кредита“) აზრი, საფუძველი, შინაარსი შემდეგია: რომელისამე გუბერნიისა, თუნდ მისის ნაწილის მემამულეები, შეადგენენ ხელ-შეკრულობით წრეს; „მევალე“ (ე. ი. ვალის გამცემი, გამსესხებელი, „კრედიტორი“ და არა „მოვალე“) დაიმედებულია, რომ ის თავისს ფულს კანონიერის სარგებლით დანიშნულს დროზედ უსათუოდ მიიღებს და თუ ვინიცობაა ვერ მიიღო, განასესხი ფული ფულათ, კიდევ ისაა მოგებული იმით, რომ მთელი დაგირავებული მამულები იმისს ხელში გადავა, ამ წრეს საგნად ექმნება: მოუპოვოს თავისს წევრს საჭირო თანხა რაც შეიძლება უფრო იაფის სარგებლით. წრე, საზოგადოება არის შუამავალი, თავმდები თავისს წევრისა მევალის წინაშე. მემამულე, რომელსაც სჭირია თანხა, მიჰმართავს საზოგადოებას და ეუბნება: „ფული მასესხე და მამულს დაგიგირავებო.“ საზოგადოება აფასებს მამულს: თუ რამდენად ღირს იგი და ამის კვალად აძლევს სესხს, თითონ მამულს იღებს გირაოდ. თავის უზრუნველ-საყოფელად საზოგადოება აძლევს სესხს იმდენს-კი არა, რამდენიც მამული ჰღირს, არამედ შედარებით უფრო ცოტას. სესხს აძლევენ მოვალეს გირავნობის ფურცლებით. გირავნობის ფურცლებში სწერია, რომ „საზოგადოება მოვალეა თავისის წევრის მევალეს უზღოს ამ წევრის ვალი კანონიერის სარგებლით“. მაშასადამე მევალის წინაშე პასუხის მგებელი თითონ საზოგადოება-წრეა. თუ საზოგადოებას ანუ წრეს თითონ აქვს თანხა, მაშინ თავისს წევრს პირდაპირ ფულს აძლევს, თუ არა აქვს, მაშინ გირავნობის ფურცლებს ან თითონ გასცემს და შეჰკრებს თანხას, ან თავისს წევრს მისცემს ფულის მაგიერ და ეს უკანასკნელი თითონ ეძებს ფულიანს კაცს; ხოლო, ვიმეორებ, წევრმა—მოვალემ გირავნობის ფურცლების საშუალებით ნაშოვნი ფული მაინც წრეს ანუ საზოგადოებას უნდა წარუდგინოს და ეს უკანასკნელი ისტუმრებს თავისის წევრის მევალეს. მოვალე წევრი საზოგადოებისა იხდის ნასესხის თანხის წლიურ სარგებელს, რომლითაც: 1) სწარმოებს საზოგადოების მმართვა-გამგეობა, 2) თითონ საზოგადოება იხდის სარგებელს თავისს სახელზედ დაწერილ გირავნობის ფურცლებისას და 3) თითონვე საზოგადოება ასწორებს თავისის წევრების ვალების გარდახდის წეს-რიგს, რომელიც გამოქვეყნებულია გირავნობის ფურცლებზედ.

თუ ვინიცობაა წევრმა აღთქმულ, შეპირებულ, ე. ი. წლიურს ვადაზედ ვერ გადუხადა ნაწილი თავისის ვალისა საზოგადოებას, საზოგადოება იმას მამულს გაუყიდის საჯაროდ.

საზოგადოებას მაინც შეუძლიან გამოიჩინოს კანონიერს ფარგალში სულგრძელება თავისს წევრის მიმართ და მრავალნაირი შეღავათი მისცეს, თუ წევრი ზარმაცი და „სხვის ხარჯზედ მოქეიფე“ არ გამოდგა.

ეს საზოგადოება უმთავრეს თავისს ნაწილში იგივე ბანკია: განსხვავება, თუ კერძო კაცთა ანგარიშით განვსჯით, თითქმის არ არის; მხოლოდ საზოგადოების ანგარიშით-კი—ძალიან ცოტა.

თუ ჩემს რჩევას დაიჯერებს თავად-აზნაურობა! საგანგებო კრებას მოახდენს, „სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ხელ-შემწყობ საზოგადოების“ წესდებას შეიმუშავებს, პირველი მუხლი ამ წესდებისა ასეთი უნდა იყოს: „ნება მიეცეს ამ საზოგადოებას მთავრობისაგან გამოისყიდოს აწ წესდება შეცვლილ ბანკებისაგან ის მამულები ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა, რომელიც ბანკს უკვე დაუნარჩუნებია და ისინიც, რომელსაც ბანკი შემდეგში დაინარჩუნებს, ისკი რომ გამოსყიდვის ფასი იგივე იყოს, რამდენადაც ბანკს დარჩენია“.

თვითონ საზოგადოებამ უნდა იკისროს იგივე საქველ-მოქმედო საქმეები, რომლებსაც ბანკი ჰკისრულობდა; ნამეტნავად უნდა გაათრ-გაასამკეცოს დახმარება სახელოსნო, სამეურნეო, საოსტატო (ტეხნიკური) სწავლა-მეცნიერების გავრცელების საქმეში და თავად-აზნაურობამ-კი მიატოვოს წოდებრივი განკერძოება და ყოველ წოდების ქართველს ეძმოს და ეამხანაგოს. უნდა გვახსოვდეს, რომ მე XIX საუკუნე თავდება.

აწმყო ცხოვრების ვითარებათა ფარგალში მხოლოდ ამ გზით შევვიძლიან რაოდენადმე მაინც ავასრულოთ ჩვენი ისტორიული მოვალეობა, რომელიც მოკლედ ეს არის: გადავცეთ ჩვენი მამული ჩვენს შთამომავლობას ისე, როგორც ჩვენ გადმოგვცა ჩვენმა მამა პაპამ.

რაჟდენ გორდულაძე

## მცირე შენიშვნა.

სამ ალი თუ სამი ალი?

დიდებული რუსთაველი სწერს:

ვაჲ, თუ გავიჭრე, გაჭრილსა
სადა, გლახ დამწვავს სამ ალი!
(ტაეპი 702).

აქ სიტყვა «სამ» სამი არ არის, არამედ შემოკლებული ფორმა სიტყვისა «სადმე», რომელიც ძველს მწერლობაში იხმარება სხვა-და-სხვანაირად: სამ, სამე, სადმე (სხვათა შორის ნახე საბა ორბელიანის ლექსიკონი).

ამის შემდეგ სრულიად გასაგები ხდება რუსთაველის 1020 ტაეპიც:

რად სიცხე გულსა ნაადაგ
მწვავს გმირთა სამსალებისა?
რად გული კლდისა ტინისა
შემქმნია სამ სალებისა?
არ შეუძლია დახვარსა
დაჩენა სამსალებისა!
შენ ხარ მიზეზი სოფლისა
ასრე გასამსალებისა!

კიდევ ვამბობთ იმასვე, რაც გვითქვამს მრავალჯერ: ვიდრე «ვეფხის ტყაოსნის» ყალბ-მქნელების გამოძებნას შევუდგებოდეთ, საჭიროა ზედმიწევნით შევისწავლოთ რუსთაველის წინა დროის ლიტერატურა და ენა ამ ლიტერატურისა, ვინაიდგან ეს ენა მიეცა რუსთაველს ხერხად და სახსრად გამოეთქვა თვისი უკვდავი პოემა. ვიდრე ამ გზას არ დავადგებით, ჩვენ მიერ გაუგებარ სიტყვების მიხედვით ამა თუ იმ ტაეპს თვით რუსთაველისას მივაწერთ „მწიგნობრებსა“ და „ყალბ-მქმნელებს“!

მ. გიორგიძე

## დამაკვირდი

მტერობაჲ შენი იყავნ ჟამეულ სადმე და სიყვარული გაქუნდინ სამარადისოდ.

ნიკოლოოზ ტფილელი

* * *

სწავლა სიცოცხლისა მისისა არს ერთობა, სიმდაბლე, მშვიდობა და ნეტარება.

გიორგი ჯანთიშელი

* * *

კავშირთაგან შედგმული ნივთი რა კავშირთაგან დაიხსნება, ნივთი იგი ქვემდებარე იქმნების ხრწნადი და შლადი.

მიტროპოლიტი იონა

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მიუნჰენის ერთს გაზეთში დაბეჭდილია ამბავი ერთის თილისმისა, რომელიც ჰქონია რუსეთის იმპერატორს ნიკოლოოზ პირველს. ეს თილისმა წარმოადგენდა პრუსიის პრინცესის შარლოტას ბეჭედს. ამ თილისმისა, ანუ ბეჭდის ამბავი საკმაოდ საყურადღებოა. პრინცესა შარლოტას აღმზრდელი შვეიცარიელი ქალი ვილდერმუტი ერთხელ თავისს სამშობლოში წავიდა, რათა თავისს განსვენებულ ნათესავებისაგან მემკვიდრეობა ჩაებარებინა. შვეიცარიიდგან რომ დაბრუნდა ქ-ნი ვილდერმუტი, თან მრავალი ნივთი მოიტანა და, სხვათა შორის, ერთი პაწია და ლამაზი ბეჭედი. ეს ბეჭედი ძლიერ მოეწონა შარლოტას, თითზე გაიკეთა და სთქვა: „რა მშვენიერი ბეჭედია, ძველებურიც უნდა იყოს, მზადა ვარ ვიფიქრო, რომ ეს ბეჭედი თილისმა უნდა იყოს“. მერე პრინცესას უნდა მოეხსნა ბეჭედი, დიდს ხანს სცდილობდა, მაგრამ ვერ მოიხსნა. ქ-მა ვილდერმუტმა სთხოვა პრინცესას, სახსოვრად გქონდეთ ეგ ბეჭედიო. კარგა ხანს შემდეგ პრინცესამ როგორც იყო მოიხსნა ბეჭედი და კარგად დაათვალიერა. ბეჭედს ზედ წარწერა აღმოაჩნდა ეწერა: „იმპერატრიცა სრულიად რუსეთისა“. პრინცესას გაეცინა, მაგრამ ასე უთხრეს, ეგ შენი ბედი უნდა იყოსო. 1817 წელს ბერლინში მივიდა დიდი მთავარი ნიკოლოოზ პავლეს ძე. იმ დროს უფროსს ძმას კონსტანტინე პავლეს ძეს ჯერ უარი არ ეთქვა რუსეთის მეფობაზე. დიდს მთავარს ნიკოლოოზ პავლეს ძეს ძლიერ მოეწონა პრინცესა შარლოტა და ჩასჩურჩულა: „მეგობრობის ნიშნად მომეცით სახსოვრად ეგ პაწია ბეჭედიო“. „როგორ, ეხლავე, აქ ამოდენა საზოგადოებაშიო“, ჰკითხა პრინცესამ. ეს ლაპარაკი სადილის დროს მოხდა. „ვერავინ დაინახავს, უპასუხა დიდმა მთავარმა, გაახვიეთ ბეჭედი პურის გულში და დასტოვეთ მაგიდაზე, მერე მე ისე ავიღებ, რომ ვერავინ დაინახოს“. პრინცესამ გადასცა ბეჭედი, რომელიც შვეიცარიიდგან მოუტანა ქ-მა ვილდერმუტმა. ბეჭედი სწორედ თილისმა აღმოჩნდა. რვა წლის შემდეგ დიდი მთავარი ნიკოლოოზ პავლეს ძე რუსეთის ტახტზე ავიდა და ბედნიერად სცხოვრობდა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულთან, ე. ი. პრინცესა შარლოტასთან. მას შემდეგ იმპერატორი ნიკოლოოზ პავლეს ძე იმ ბეჭედს მუდამ თან ატარებდა საათის ძეწკვზე.

# დეპეშა

4 იანვარი

**პეტერბურგი.** 3 იანვარს ქსენიას სასახლის ეკკლესიაში მონათლულ იქმნა დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძისა და დიდის მთავრინის ქსენია ალექსანდრეს ასულის ძე მთავარი თეოდორე. მიმრქმელებად ბრძანდებოდნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოოზის ძე, მიხეილ ალექსანდრეს ძე, სერგეი მიხეილის ძე და იქ არ დამსწრენი დიდი მთავრინა ელენე ვლადიმერის ასული და პრინცესა ვალლიისა.

**ბერლინი.** სეფე სიტყვაში, რომელიც წარმოთქმულ იქმნა იმპერატორის მიერ პრუსიის ლანტაგის კრების დაწყების დროს, ნათქვამია, რომ ფინანსთა ვითარება უწინდელივით კმასაყოფელია. სახელმწიფოს საერო ვითარება მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული. კეთილ-დღეობა ერისა თან და თან იზრდება და შევვიძლიან იმედით შევსცქიროთ მომავალს. სხვათა შორის მოხსენებულია შემდეგი განძრახვანი მთავრობისა: გამრავლება სახელმწიფოს რკინის გზებისა და გაყვანა არხებისა გემებისათვის დორტმუნდიდგან ემსის არხით რეინისაკენ და ვეზერისა და ელბასაკენ.

**მადრიდი.** გაზეთები იუწყებიან, რომ ფილიპეს კუნძულებიდგან არავითარი დეპეშები არ მოსულაო. ამერიკელები იჭერენ მხოლოდ გამგზავნელ მიმღებისათვის გასაგებად დაწერილ დეპეშებს, რის გამოც რიოსი ეხლა დეპეშებს გემებ[ით] ჰგზავნის.

**ჰონგკონგი.** მანილის ხმელე[თის] მხრიდგან გარს შემოერტყნენ მ[...]ბოხენი.

**ლონდონი.** „Times“-ი აცხადებს მწუხარებას იმის შესახებ, რომ ამერიკის ზოგიერთი მოღვაწენი ფილიპინების გამო ჰკიცხავენ გერმანიას, რომელსაც ამერიკასა და ინგლისთან ისე უჭირავს თავი, როგორც საჭირო არის. „რაც შეეხება კაროლინის კუნძულებსაო,—დასძენს ეს გაზეთი,—უნდა ვსთქვათ, რომ ინგლისს საბუთი არა აქვს წინააღმდეგობა განაცხადოს, რომ კუნძულები დაეთმოს ევროპის ისეთ დიდს სახელმწიფოს, როგორიც არის გერმანია.“

5 იანვარი.

**პარიჟი.** პალატა. მეზიურერმა და დიუპუიმ მოითხოვეს, რომ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას დაუყოვნებლივ შეუდგეს პალატაო. (ტაშის ცემა.) ანტისემიტ ფორს ჰსურდა შეჰკითხოდა პალატას იმის შესახებ, რად აგვიანებს სამხედრო სასამართლო პიკარის დაბარებას. დიუპუიმ მოითხოვა, რომ ამ საგნის განხილვა ერთის თვით იქმნას გადადებულიო. ფორმა კიდევ მოითხოვა,—დაუყოვნებლივ შეუდგეს პალატა ხარჯთ-აღრიცხვის განხილვასაო. პალატამ 422 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 44 ხმისა გადასდო ფორის მიერ აღძრულის საგნის განხილვა. პალატა უნდა შეუდგეს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

**პრაღა.** ნემეცმა სტუდენტმა ბიბერლმა ჩხუბის დროს რევოლვერი ესროლა და სასიკვდილოდ დასჭრა ჩეხელი სტუდენტი ლინგარტი.

**ბერლინი.** საპასუხოდ „Politis. Corr.“-ს მიერ ნაუწყების ამბისა,—ბერლინში ბოლგარიის სადიპლომატო წარმომადგენლობის დაარსების შესახებ,—„Nard. AAg. Zeit.“-ი ამბობს, რომ აქ ამის შესახებ არაფერი ისმისო.

**პეკინი.** ლი ხუნ-ჩანი ავად გახდა: სახსრები დაუსივდა.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობას ვუცხადებთ „ტფილისის ფურცლის“ რედაქტორს ბ-ნ ხეჩატუროვს, რომელმაც მუქთად დაგვითმო თვისი გაზეთი პირველ ნოემბრიდგან ტომსკის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს.

ჩვენ ტფილისის ყველა რუსულ გაზეთების რედაქტორებს მივმართე, მაგრამ ჯერჯერობით მარტო „ტფილისის ფურცელი“ მოგვდის.

ტომსკის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების მონდობილობით სტუდენტი

ივ. ზედგინიძე


# განცხადებანი

დაიბეჭდა და გაიყიდება „წერა-კით. გამავრ. საზოგადოების“ მიერ გამოცემული

**საყმაწვილო მოთხრობანი**

ეკატერინე გაბაშვილისა.

ფასი 30 კაპ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 5 го Января 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე